


წელიწადი  
პირველი



5 მაის  
1877 წ.

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ფასი 1 ლარი

ბამოდის ხუთზაბათობით

ხელის მოწმარა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოყვის სასტუმროს წყმოდ. №11 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

<p>„ივერიის“ ფასი 1877 წელს. ათი თვისა, გაეზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. — თითო ნომერი . . . . . — 15 კაპ.</p>	<p>თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს და შეამოკლებს დასახეულად გამოგზავნილ წერილებს. განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.</p>
--	---

**საძიებელი:** I. საქართველოს მატთანე. — II. ომის ამბები. — III. საზოლიტიკო მიმოხილვა. — IV. ზოგიერთი რამ, წერილი მეორე — V. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი. — VI. რა მიზეზია სერბიის დამარცხებისა? — VII. რუსეთი. — VIII. განცხადებანი.

### საქართველოს მატთანე



#### ვიცინოთ, თუ ვიტყვით.

ვგონებ არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ესე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე საკვირველია!... რაც უნდა უშვერი, უმეზავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს, ჩვენში ფეხს გადავდგამს ხოლმე, მეორე ისე რომ ეურსნაც არავის შეაბღერტინებს. არც მის მომქმედსა აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც მის მაუურებულსა აქვს სიბრწევილი, რომ ავრე ზირუტეულად რაზედ ვეჩქლევინიებო.

ჩვენ რის ამბის მბობაც გვინდა დაუჯერებელია. არც თვითონ დავიჯერებდით, რომ სანდო კაცისაგან არ იყოს გადმოცემული.

„ივერიაში“ ამას წინად მოხსენებულ იყო, რომ გორში არსებობს შარშანდელს აქედ საო-სტატო სემინარია, ესე იგი, იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა მოამზადოს ოსტატები, მასწავლებელნი ჩვენის სახალხო სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ რომ აქ ქართულს ენას ზირველი ადგილი ეჭირება სხვათა შორის. მაგრამ ეგ ავრე არ არის. სემინარიის გულისხმიერს გამგეობას გადუწვევია, რომ ქართველთა ბავშვების ოსტატს ქართულის ცოდნა

გულს აუსუეებსო. ამის გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ ასწავლიან, ასე რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მოგწონთ? შუა გულს ქართლში მთავრობამ სემინარია გახსნამერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბავშვებისა, თვის ოსტატები გამოსწორთნოს და მაინც კიდევ ქართულს არ ასწავლიან. ვიცინოთ ამაზედ, თუ ვიტყვით?

წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შევიდა ორმოცდა ათი მოწაფე. ამათ რიცხვში ოცდა თერთმეტი ემაწვილი ქართველია, დანარჩენნი სხვა და სხვა გვარ-ტომისანი არიან. მაშასადამე რაოდენობა ქართველთ ემაწვილებისა შეადგენს ორ მესამედს მთელს რიცხვისას. მომავალშია, რასაკვირველია, ქართველთა მოწაფეთა რიცხვი ამ გვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია თქვენ იფიქრებთ, ამის გამო მაინც ქართულს ენას სემინარიაში სავალი ექნებაო. სემინარიის გულის-ხმიერს გამგეობას სულ სხვა ფიქრი მოხვლია. მის დირექტორს მოუწვევია სამველად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუსკვნია რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამომავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვნიან თორმეტს გვარ-ტომობასაო; ამათ შორის 1) რუსები არიანო ექვსნი 2) ქართველები ცამეტნი, იმერლები თორმეტნი, სომხები ექვსნი, ჰოლანდები ორნი, ინგილო ორნი, გურული ორნი, ფშავნი ორნი, აბხაზნი ორნი, უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამ გვარად ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი ქართველად არ უცნია გორის სემინარიის მეცნიერებას. მამ უფ. დირექტორის აზრით რუსი, მოსკოველი, ტამბოველი, ვარონეველი რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვა და სხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუ თუ ამის თქმა სდომებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართველი ქართველს განუძორებია?

არა, ბატონო. იმას ეს უფიქრია: „მართლაც ქართველი რომ ქართველად დარჩესო ხომ მკითხვენ, ოცდათერთმეტი ქართველი მოწაფე გვახს და რატომ ქართულს არ ასწავლიო. თავი რად ავიტკიოვო. ის არა ჰსჯობია ვჰსთქვა, რომ ქართველი ქართველი არ არისო“. ძალიან კარგადან მოუგონია, სანელი და დიდება მომკონებელს..... მაგრამ ჩვენ ამასედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

სემინარიასთან არსებობს მოსამზადებელი კლასი, რომელსაც პროსემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით სემინარიასთან უნდა დაარსებული იყოს სემინარიის: ერთში უნდა იწავლონ ქართველებმა, მეორეში რუსებმა და მესამეში სომხებმა. მარშან სექტემბერში დაარსდა მხოლოდ ქართული პროსემინარია. ეოველის ეჭვის გარეშე იყო ევლასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯეროვანი გზა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პროსემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულს ენის სწავლაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირაში დანიშნული და მოწაფენი ქართულის წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია რომ გორის სემინარიის გამგეობას ქართულის ენისათვის დრო არა ჰქონდეს, რადგანაც გვარტომობის გამოკვლევას ვერც წარჩინებულად შეჰსდგომია თვისთა სასახლოდ და იმ გამოკვლევამია გართული. ჩვენ აქ არა გვეთქმის რა. მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მაინც და მაინც დაუჯერებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ: ამასედ ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

იმავუ პროსემინარიის შირველს განყოფილებაში თუძცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ეოველ დონისძიებას ხმარობენ, რომ ბავშვმა ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასოების ჯღახის მქეტი არა იწავლონ რა, უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართული სწავლა კი არა, ვგონებთ ისიც დაავიწყდეს ბავშვს, რაც იცოდა, ამ მეთოდის მომკონებელი განსლავთ ქართულის პროსემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიევი. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკეთოს ქართული ასოები, რუსული ასოები, ისწავლოს მათი გამოხატვა, მათგან მარცვლების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დაიხსომონ რუსული სიტყვები და ახსნან რუსული ფრაზები. საწუალო ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის ამენებაში სრული გონება კიდევ შეგრჩათ, ბარაქალა თქვენის ბუნების ძლიერებას... ჩვენი ქართული ანდაზა „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიტყროსო“ უფ. ნათიევს ვერ მოჰსწონებია და უთქვამს: მე

დავუმტკიცებ ქვეყანასაო, რომ მე ოთხს კურდღელს გამოუდგები და ოთხსავე ერთად დავიტყრო. ნეტავი ექვსიც ერთად დაიტყროს. ოღონდ კი მარტო კურდღლებს გამოუდგეს და ბავშვების სწავლას კი თავი დაანებოს. უფ. ნათიევის ვარჯიშობასედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

უფ. ნათიევი არც ოთხის კურდღლის გამოდგომას დაჰსჯერებია. მეხუთე კურდღელიც გაუგდია წინ. არ ვიცით რა უნდა ვუქეთ უფ. ნათიევს, — სირბილი, თუ მქებობა. ქართულს და რუსულ ანბანთან იგი ასწავლის თურმე მოწაფეებს მესამე ანბანსაც. ეს ანბანი არ განსლავთ არც ფრანციული, არც ნემცურნი, არც ლათინური, არც ბერძნული, ერთის სიტყვით, იმ ანბანით, რაც კაცობრიობა არსებობს, არც წიგნი დაბეჭდილა და არც დაწერილა. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აწმომი და ეოვლად შეუძლებელია მომავალში. იგი მოხმანებია უფ. ნათიევს მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის. რა ანბანია ასეთი ახირებული ანბანი, იკითხავს მკითხველი. აი რა ანბანია. ნათიევს სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულის ასოებით უნდა დაიწეროსო, აულია და თვის ანბანში შივა და შივ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულის ასოებითა. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია ხუთმეტამდის ნიშნები ჩვენის ნიშნების გამოხატავად, ამიტომაც უფ. ნათიევს თავისით მოუგონია ახალი ასოები არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა არც იმ მთისა, და ამ ახალის ასოებით შეუგნია რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმდიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიევს ორი კურდღელი ერთად დაუტყრო. ბარაქალა მის ფენ-მარდობას და სისწრაფეს. მაგრამ ჩვენის საწუალის ბავშვების რა გადასახდელია, რომ უფ. ნათიევი ფენ-მარდია. იმ ბაბილონის გოდოლს, რომელიც წინ მოვიხსენიეთ, მესამე ანბანიც დაუმატა თურმე უფ. ნათიევმა. ვაი თქვენი ბრალი, საწუალო ბავშვებო! არ გვეოფათ განა ამდენი ამბანები, რომ „ნათიური“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო. ჩვენ ამასედ უნდა ვიცინოთ თუ ვიტყვით?

აბა ეს ამბები შეიძლება რომ სხვაგან სადმე მოხდეს და ისე დაუსჯელად ჩაიაროს? მეცნრამეტეს საუკუნეში, ესე ამკარად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასაცილოდ აგდება მთავრობის კეთილ განკარგულებისა, მთავრობის დაწუბობილებისა სადმე გავგონილა? გავგონილა რომ ესეთი წერილ-ფენობა, როგორიც უფ. ნათიევი და სემინარიის გამგეობა, ესე ფუჭად ხდიდეს მთავრობის ჩვენდამი მწრუნველობას და გულმტკიცუნეულებას?... ჩვენ ამასედ უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

თუ ჩვენ გვეკითხავთ, ორივეს მიხეცი და საბუთი ხელთა გვაქვს.



– ერივანის გუბერნატორის მოხსენება მოურთმეგვია მის იმპერატორებითისა უმაღლესობისათვის მას-სეფდ, რომ 30 აპრილს დღისით თერთმეტს საათსეფდ ჩხუბი მოსვლიათ ელისავეტოპოლის ცხენოსანის ჰოლკის ჯარის კაცთ და სომეხთ ვაჭართა ჩხუბში მონაწილეობა მიუღიათ იქაურთ მაჰმადიანელთადა. ამ ჩხუბში ზოგნი დაუჭრიათ, ზოგის ქონება აუკლიათ და ერთი ჯარის კაციც მოუკლავთ. ჰოლიციას ეოველი თვისი ღონისძიება უხმარია, მაგრამ ვერა გაუწევია რა. ადგილობრივის ბატალიონისა და ეაზანების ჯარის კაცნი მოუწვევიათ და ამათ შემწეობით ჩხუბი მოუსწიათ, ისე კი რომ იარაღი არ უხმარიათ.

ამ საქმეში 15 კაცი დაჭრილა, მათ შორის ორი ჩინოვნიკია, ერთი სალდათი და ორი მილიციონერი, ერთი მილიციონერიც მოუკლავთ. ელისავეტოპოლის ცხენოსანი ჰოლკი ქალაქ გარედ გასულა და ქალაქიდან შვიდს ვერსტზედ დამდგარა. („კავკაზი“)

– აპრილის ნახევრიდან მთებს იქით თერგის მხარეში (Терская область) იტკერს, აუსს და არღუნის ერთს ნაწილში არეულობა რამ დაუწვიათ და ბოლოს ეს არეულობა ამკარა აჯანყებით გადაქცეულა. რამდენიმე დღის განმავლობაში ორასი კაცი მოგროვილა, თავისი იმამი ამოურჩევიათ და ჰირდაპირ გასდგომიან იქაურს მმართველობასა. იმედი ჰქონიათ რომ სხვებსაც მოვიმწრობთო. რომ ეს არეულობა დიდსა საჩენოს არ გადაჰსდებოდა ორგან მთავრობას ჯარი შეუკრებია და გამოუცხადებია, რომ მთელი თერგის მხარე სამხედრო წესზეა დღეის იქით დაეწებულიო. არც ამ ჯარების შეკრებამ არც თვით ადგილობრივის მმართველობის მეცადინეობამ, არც იმ შემთხვევამ, რომ თვით იმათგანვე უფრო გონიერნი ურჩევდნენ მშვიდობიანობის ჩამოკლებას, – ვერ შეაყენა თურმე აჯანყებულნი.

აჯანყებულნი მისდგომიან ჯერ მაიორტუჰს და სურვებით ძალით მიემხროთ იქაური ხალხი, მაგრამ მავ სურვილს უქმად ჩაუვლია. მერემიჰსდგომიან სოფ. შალუს, რომელიც ჩეჩნის შუა-გულია და რომელსაც სიდიდით, თუ მნიშვნელობით ჩეჩნებში დიდი ხმა აქვს. სურვებით რომ ეს სოფელი მიმხრობოდათ მათ და ამით ჩეჩნებიც გაერიათ აჯანყებაში, მაგრამ შალოელები თოფ-იარაღით დახვედრიან და დაუმარცხებიათ აჯანყებულნი და გაუქცევიათ. თავის შესაფარებელად ცდილან სოფ. ავტურაში შესულიყვნენ, მაგრამ აქაც მცხოვრებნი წინ აღსდგომიან, ბევრნი აჯანყებულნი დაუსოცნიათ და დანარჩენი გაუფანტნიათ. იმდენად კეთილი შედეგი ჰქონია ადგილობრივთა მცხოვრებთა მთავრობისათვის თავ-გამოკლებას, რომ ამქამად თერგის მხარეში მშვიდობიანობა ჩამოვარდნილა.

ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი.

წარსულის კვირის განმავლობაში შემდეგი ამბები მოვიდნენ ომის თაობაზედ:

– 29 აპრილს ღენერალ ოგლობოჟიოს მოწინავე ჯარი მუხა-ესტატიდამ დაძრულა და, ორი ვერსტი რომ გაუვლია, ომით დაუჭერია ძალიან კარგად გამაგრებული ოსმალების მიერ ხუც-უბანის მაღლობი. ამ ომში ოსმალებისა ბევრი კაცი დახოცილა. ჩვენი თორმეტი ჯარის კაცი მოუკლავთ. გარდა ამისა ცხრა აფიცერი და ას-შვიდი ჯარის კაცი დაუჭრიათ.

– 1 მაისს ამ ხუც-უბანის მაღლობზე, უწინდელის საქრისტიანო ტაძრის ნანგრევებზედ ჩვენებს პარაკლისი გადუხდიათ და ღვთისათვის მადლობა შეუწირავთ გამარჯვებისათვის.

ორი დღის განმავლობაში ოსმალებს თოფიც არ გაუსროლიათ. ჯარი მოუთმენლობით ელის ახალს ომსაო.

– 700 ცხენოსანის ჯარის კაცი ყარსიდან გამოსულა და გაჰქცევია ოსმალოს. ქალაქის ყარსის მცხოვრებნი სასტიკად თხოულობენ თურმე, რომ ოსმალოს ჯარი მინდვრად გავიდეს და მტერს დახვდესო.

– ღენერალი ლორის მელიქოვი, თვისის ლაშქრის ერთის ნაწილით ზაიმიდამ გასულა არდაღნისკენ და 30 აპრილს სოფლის ხევისკარის ახლოს დაბანაკებულა.

– აპრილის 23 – 29-მდე ჯარი არდაღნის სიმაგრეების დასათვალიერებლად თარეშად გასულა. 27-აპრილს ოსმალოს ქვეითა ჯარი სიმაგრეიდან გამოსულა და სროლა აუტეხნია. მაგრამ ჩვენს არტილერიას ოსმალები უკანვე გაუბრუნებია. 28-ს ოსმალოს ჯარი ხელახლად გამოსულა, მაგრამ მაინც ვერა გაუწყვიარა. ჩვენის მხრით არავინ არც კი მოკლულა.

– ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა და ერთი პოლკი ყაზახისა ყარსის ახლო-მახლო თარეშად გასულა, ოსმალოს საქონელი და 220 ცხვარი მოუტყუდევია და წამოუსხავს. ჩვენის მხრით არავინ არ მოკლულა.

– 29 აპრილს, ერევნის მოწინავე ჯარს სურფოჰანესი აულიათ. ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრებნი. ქურთები მოდიან და ჩვენებს ემორჩილებიან თურმე.

– ბაიაზეთის აღების დროს ტყვეთ დარჩენილა



ოსმალის ჯარის ექიმი ჰოფმანი, რომელიც ავსტრიის ქვეშევრდომია.

– 29 აპრილს შუალამისას გულაუტს \*) მიადგა ექვსი ოსმალის სამხედრო ხომალდი, გადასწვა გულაუტი და გადმოსხა ხმელეთზე ორი ათას კაციამდე. ეს ორი ათასი კაცი სულ იმათგანი არიან, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ.

დუნაის მხედრობის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ იქ წინ წაწევა უფრო ძნელია ვიდრე კავკასიის საზღვარზე, რადგანაც დუნაიზედ გადასვლა ძალიან მძიმეა მეტადრე ეხლა, როდესაც წყალ-დიდობაა. გარდა ამისა ოსმალეთს დუნაის ნაპირებზე ჩინებული ციხე-სიმაგრენი აქვს აშენებული, და ეს სიმაგრენი უმძიმებენ ჯარს დუნაიში გასვლასა. ჯერ-ჯერობით აი რა ამბები ისმის დუნაის მხრიდან: ოსმალის სამხედრო ხომალდები ესვრიან ზარბაზნებს ქალაქს ბრაილოვს. ერთი დიდი ოსმალის ხომალდი 200 კაციით დუნაიაში დაღუპულა, რუსის ზარბაზნის ყუმბარა მოხვედრია და მაშინვე დაუძირავს. გარდა ამისა ქ. ისაქიდამ \*\*) ოსმალებს ზარბაზნის სროლა აუტეხნიათ და დაუქცევიათ ერთი მონასტერი, რომელიც რუსებმა ააშენეს იმის სახსოვრად, რომ 1828 წ. დუნაიზედ გადავედითო. ერთი რუსის სალდათიც მოუკლავთ.

– ბუხარესტში ელიან რომ რუმინია დღესათუ ხვალ ომს გამოუცხადებს ოსმალეთსაო, და თავის სრულ დამოუკიდებლობას აღიარებსო.

ექვსი ოსმალის სამხედრო ხომალდი სუხუმს მისდგომია და ზარბაზნის სროლა დაუწყებია

### საწოლიტიკო მიმოხილვა

**რუმინია.**—რუმინია დიდად საჭიროა რუსის მხედრობისათვის, როგორც უკეთესი გზა ოსმალეთში შესვლისათვის. ამის გამოცხადებით ევროპის ეურადღება მასწავლიყო მიქცეული თუ როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში რუმინია, რომელსაც ერთის მხრით ოსმალეთი უუურებს როგორც თავის განუშორებელს ნაწილს და რომელიც მეორეს მხრით თვით რაცნს თავის

\*) გუდაუტი შაკი ზღვის ნაპირს აჩის სუსუძის ზეით, ბაკუნდის მახლობლად.

\*\*) ოსმალეთის ქალაქია დუნაის ნაპირს.

თავს თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. მთავარმა კარლამ მოიწვია ჰარლამენტი, სადაც სხვათა შორის წარმოხტევა შემდეგი: „ომი ასტედა. ჩვენ ვიხმარეთ ეოველი დონისძიება, რომ ჩვენ არც ერთს მხარეს არ მივდგომოდით, მაგრამ ვერა გავაწეეთ რა; ოსმალეთმა უარ-ჰყო ჩვენი წინადადება. ოსმალეთის მთავრობამ კონფერენციაშიც კი არ შეიტანა ჩვენი თხოვნა. \*) მაშასადამე ეხლა ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენის თავისათვის. ჩვენ უნდა მივცეთ გზა რუსეთის მხედრობასა, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ვიხმაროთ ეოველი დონისძიება, რომ ჩვენნი ქვეყანა ბრძოლის ველად არ განდეს, ჩვენი ქალაქები და სოფლები ნაცრად არ იქცნენ, და ჩვენი ქონება არ დაიღუპოს ომისაგან, რომელიც არც გვდომებია და რომლის ატეხნაში არც არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია. რუსის მხედრობისათვის გზის მიცემაზედ ევროპის სახელმწიფოებს არავითარი უკმაყოფილება არ გამოუცხადებიათ. ეხლა, კონსტიტუციის ძალით, თქვენ უნდა მთავრობას დაუნიშნოთ ის გზა, რომელსაც იგი უნდა დაადგეს საკულად. როდესაც რუსეთის მხედრობამ ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა დააპირა. ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაცხადა, რომ იგი სრულებით არ შეეხება არც რუმინიის წესიერებას და არც მის თავის უფლებას. ამის დანამტკიცებლად რუსის მხედრობა სრულებით არც კი მიეკარება ბუნარესტს \*).

„ერთისა და იმავე მამულის შვილნო! დარწმუნებული ვარ, თქვენ გიღვივით მხოლოდ ერთი და იგივე სურვილი, ერთი და იგივე წადილი, – ეგ წადილი, ეგ სურვილი ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობაა. მერწმუნეთ, მეჩემისმხრით შევიძლებ ჩემს მოვალეობის აღსრულებას. რა დღესაც ამ ქვეყანაში შემოვლავი ფეხი მე რუმინიელად შევიქმენ. უწინდელთა სახელოვანთა რუმინიის მთავართა წადილი ჩემი წადილია: როგორც იმით, მეც ისე მსურს რუმინიის აძაღლება, ეოველის მისის უფლებისა და დაურღვევლობის დაცვა. ამ სურვილის აღსრულებისათვის ჩემს თავს დავსდებ მსხვერპლად, რაკი ჩვენი ემანციპაციონა და მამაცი ლაშქრობა თან მეყოლება“.

– რუმინიამ თავის მამულზედ გზა მიჰსცა რუსის მხედრობასა და აღუთქვა, რომ მას მეგობრულად მოექცევა.

\*) ეს თხოვნა ოსმალეთის კონსტიტუციის შესახებ იყო. რადგანაც კონსტიტუციაში ზოგიერთი მუხლია მოხსენებული, რომელთა ძალითაც ოსმალეთი რუმინიასაც ისე უუურებდა, როგორც სხვა ქვეყნებს.

\*) რუმინიის სატახტო ქალაქია.

– ოსმალეთის ელჩს საფრანგეთში წარუდგენია ჰერცოგ დეკაზინათვის \*) თავისი მთავრობისგან მიღებული წერილი, რომელშიაც ოსმალეთი აცხადებს თავის წინააღმდეგობას იმ შეკრულობის (კონვენციის) შესახებ, რომელიც რუმინისა და რუსეთის შორის მომხდარა. ეს შეკრულობა ოსმალეთის დალატიაო, რადგანაც რუმინის სრული თავისუფლება არა აქვსო და ოსმალეთს ანის დამოკიდებულია.

ამ გვარი ფართი-ფურთობა ოსმალეთისა, როგორც მოგვსენებთ, ტყუილ-უბრალო ბლაჯინა და ლაპარაკია. საქმე თოფსეა ძივარდნილი და რაც უნდა ბევრი ილანარაკოს ოსმალეთმა, უგებელია რომ რუმინიაც ომში გაერევა და თავის ჯარს ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიყვანს.



**ინგლისი.**—ინგლისის პოლიტიკას იგივე განხეთქილება ეტეობა როგორც ადრევე. ერთის მხრით ინგლისის მთავრობამ თავისი სრული განხე დგომა (ნეიტრალიტეტი) გამოაცხადა, მეორის მხრით დიდი მზადება აქვს ომისათვის. სამინისტრო განეთები დიდ მტრობას იხეენ რუსეთისადმი და სხვა განეთები კი დიდ თანაგრძობობას.

აი რას იწერება ერთი სამინისტრო განეთი, „Morning Post“: „ცხადია, რომ რუსეთის მოქმედება ამ ჟამად დიდ ვნებას მოასწავებს ინგლისისათვის, რადგანაც რუსეთი ჰსდელილობს როგორც ევროპაში, ისეც აზიაში ინდოეთისაკენ გზა გადგვიღობოს და შეგვიკრას. სტამბოლი და ეფერატის ველი თითქო ბუნებით არიან დანიშნულნი ჰირდაჰირ გზად დასავლეთისა და აღმოსავლეთ ქვეყნებ-შორის, და რუსეთი ეძებს შემთხვევას ავები როგორმე ხელიდამ გამოგვაცალოს უშირატესობამ გზასე.“ ერთის მხრით ხომ ამას ამბობენ, მეორეს მხრით კი გლადსტონმა \*) წარუდგინა ჰალატს, რომ მან გამოუცხადოს ოსმალეთის თავისი სამდურავი შესახებ იმ ბოროტებისა, რომელიც ბოლგარიაში მოხდა. გარდა ამისა, უნდა ინგლისის მთავრობამ გამოაცხადოს, რომ ვიდრე ოსმალეთის მთავრობა არ გამოიცვლის თავის საქციელს და ნამდვილ დასაჯერებელ საბუთს არ წარმოადგენს, რომ შესცვლის თავის შინაგან მმართველობას, იმ დრომდე მას არ ექმნება უფლება მოელოდეს ინგლისისაგან თანაგრძობობას და რომელსამე შემწეობასაო. გლადსტონს ჰსურს რომ ინგლისის მთავრობამ შეაცვლევინოს ოსმალეთს შინაური წეობილება და აჯანუებულს ჰროვინციებსა, თავისუფლება მიანიჭებინოს, ისე კი რომ სხვამ

სახელმწიფომ ის ჰროვინციები ხალში არ ჩაიგდოს. ვნახოთ რა რიგი ბაასი გაიმართება ჰარლამენტში ამის შესახებ. გლადსტონის წინადადების თაობასე დიდი აღეფება ინგლისში. სხვა და სხვა ალაგას დიდძალი ხალხი იკრიბება და დიდი ბაასი და ქოთქოთია. თუძცა გლადსტონი დიდ თანაგრძობობას ჰოულობს ჰარლამენტის გარედ, მაგრამ, სამწუხაროდ, შივ ჰარლამენტში თითქმის მარტოკა არის, ასე რომ თვით მისი უწინდელი მეგობრებიც კი ჩამოეცალენ. თუ ესლანდელი სამინისტრო არ გამოიცვალა, ინგლისი, რასაკვირველია, რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკას გაჰყვება.



**გერმანია.**—როდესაც გერმანიამ გამოაცხადა თავისი თანხმობა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომთა თავის მფარველობის ქვეშ მიღებისა და როდესაც ჰრინცი რეისი \*) დაინიშნა ელჩად ხონთერის წინაშე, ეველა იმ აზრისა იყო და ეხლაც არის, რომ ესგარემოება ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებსო რუსეთისა და გერმანიის მეგობრობასაო. მართალია ეს თუ არა, დმერთმა უწეის, მაგრამ ის კი ვიცით რომ გერმანია მარტო რუსეთის ჰატევისცემისათვის არა გზავნის ჰრინცს რეისს. გერმანიას ჰსურს ღირსეული წარმომადგენელი იყოლიოს სტამბოლში შემდგვისთვის, როდესაც მოლანარაკება ჩამოვარდება აღმოსავლეთის საქმის თაობასე. გერმანიას ჰსურს იყოლიოს იმისთანა წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლოს მტკიცედ დაიცვას გერმანიის ინტერესები. მართლდა ეხლა, როდესაც ეველას თავისი ჭირი აწუხებს, ჰატევისცემისა ვილასა ცხადიან.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც კონფერენცია დაიშალა, ეველა ელჩები ვითომ გულხატკენად გამობრძანდენ სტამბოლიდამ და მათ მაგივრად სახელმწიფოებმა არა ჩვეულებრივი დენჰანნი (ავენტი) დანიშნეს სტამბოლში. ეს იმასა ნიშნავდა თურმე, რომ ოსმალეთმა გვაწეინაო და ვიდრე საქმეს როგორმე არ გაასწორებსო ჩვეულებრივი წარმომადგენლობა შემწეადრი იქნებაო და ელჩების მაგივრად დენჰანები იქმნებიანო. ამით ვითომ სამდურავი უნდა გამოეცხადებინათ ოსმალეთისათვის. თუ ესეა, რეისის ელჩობა რალას ნიშნავს?!...

– გერმანიის იმჰერატორმა ელჩას-ლოტარინგიაში მოგზაურობა ისურვა და, როდესაც მიბმანებულა, მცხოვრებნი, როგორც იწერებიან განეთებში, დიდის აღტაცებით დახვედრიან. აი რა უთქვამს მას სტრასბურლის კომისიის წევრთათვის: „ეე მაკვირვებს ის გულითადი თანაგრძობობა, რომელითაც დამიხვდა მე

\*) გლადსტონის ის წეკრია ჰარლამენტისა, რომელიც ესლანდელ მთავრობის წინააღმდეგ დასს ეკუთვნის.

\*) საფრანგეთის ტარეჰე საქმეთა მინისტრია.

\*) პრინცი რეისის ადრე გერმანიის ელჩი იყო რუსეთის წინაშე და ენათესაება ხელმწიფე იმპერატორს.

მედი და პატრიარქული ქალაქი სტრასბურგი“.

მართლა სიხარულით მივხვებით ელჩის ხალხი გერმანიის იმპერატორს თუ არა, ვინ იცის, მაგრამ დიდად საყუარია კია. იმპერატორი ვილჰელმი მარტო თანაგრძნობის მოპოვებისათვის არ წაბნეულა ელჩის მიმართ. იმან კარგად იცის რა გრძობაც უტრიალებთ გულში ელჩის ხალხებს. მის მოვსაურობას სამხედრო განსწავლავსა ჰქონია. მას ნამდვილად უნდა შეეცო, თუ რამდენად არის ელჩის ჯარი იმ ჯარებსად ნაკლები, რომელიც, მოლტკეს სიტყვით, საფრანგეთსა ჰქავს გამოყვანილი საზღვარსად, და უნდოდა იქვე ცნობაში მოეყვანა, თუ რა საშუალება უნდა იხმაროს, რომ საფრანგეთის სამხედრო ძალას თვისი ძალა შეუსწოროს.

– იმავე რეისტრალის სხდომაში, როდესაც მოლტკემ სთქვა თავისი სიტყვა გერმანიისა და საფრანგეთის ლაშქრობასად, ჩამოვარდა ლაპარაკი აგრეთვე აღმოსავლეთის საქმესად და ორმა დეპუტატმა სხვათა შორის სთქვეს, რომ გერმანიის ინტერესები სრულებით ისე დაშორებული არ არიან აღმოსავლეთის საქმესად, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. გერმანია არასდროს თანახმა არ იქნება, რომ იქ, სადა ღუნაი ზღვას ერთვის, (устье Дуная) რუსეთმა ჩაიკლოს ხელში რაიმე ნაწილი. გარდა ამისა გერმანიისა და ავსტრიის ინტერესები ერთი და იგივე არიანო. ერთის სიტყვით, ამ ბაზაში ეველას ცხადად დანახვა, რომ ძალიან შესაძლებელია გერმანიის პოლიტიკამ ფერი იცვალოს, თუ ვინცობა აღმოსავლეთის საქმის დაბოლოვება როგორმე განხორციელდება.

დღეისამდე თითქმის ეველა დარწმუნებულია, რომ გერმანია გულწრფელი მეგობარია რუსეთისა; დარწმუნებულია აგრეთვე რომ მომავალში, თუ ომი ევროპას გადაეგვას, ავსტრია რუსეთის მოწინააღმდეგე იქნება და გერმანია კი მომხრე. თუ ესეა, მამ გერმანია ავსტრიის მოწინააღმდეგეთაც იქნებაო. ეს საყუარია და აი რად. ადრე თუ გვიან ავსტრიის დარღვევაც მოსალოდნელია. ვინ იცის, იქნება, როგორც ესეა აღმოსავლეთის საქმეა წამომდგარი, ისე მომავალში „ავსტრიის საქმეც“ იქნება წამოყენებული. მეორეს მხრით გერმანიამ იცის, რომ ადრე თუ გვიან ავსტრიის ნემენცები მას ჩაუვარდება ხელში. იცის მაგრამ ჯერჯერობით ავსტრიის დაცვა უნდა, რადგანაც ავსტრია მის თვალში არის ის სიმაგრე, რომელიც იჭერს რუსეთის იმპერიას და არ უშვებს მას მტკიცედ შემოღვას ფეხი ევროპაში და ამით გერმანიას მძლავრს მოცილეს თავიდან ამორებს. ვის კერძოდ მიიმხრობა ავსტრიის სლავიანების თანაგრძნობა, ამისი კი რა მოვასხნოთ.

1848 წ. აი რა სთქვა ჰალაგემ, მაშინდელმა ჩეხელთა მოთავემ: „ავსტრია რომ სრულებით არ ეოფილიყო, სლავიანების სასარგებლოდ ჩვენ უნდა

გავუწინაო“. ეს სიტყვები, რასაკვირველია, იმას კი არა ნიშნავს, რომ სლავიანებს დიდი სიუარული ჰქონდეთ ავსტრიისა. საპოლიტიკო ცხოვრება იმისთანა რამ არის, რომ გუშინდელი მტრები დღეს მეგობრდებიან. შემოსენებული სიტყვები ჰალაგისა გერმანიის წინააღმდეგ იუენენ თქმულნი, რადგანაც ჩეხიან ემინოდა გერმანიამ არ ჩამუღაპოსო. დღესაც ავსტრიის სლავიანებს თავისუფალი ცხოვრება უნდათ და ამის გამო ეოველ ღონისძიებას იხმარებენ თავისი თავი არ ჩააყლანინონ არავის, ვინც უნდა იქნეს, გერმანია იქნება თუ სხვა ვინმე.

**საფრანგეთი.** სენატი და დეპუტატთა პალატი შეიკარნენ 19 აპრილს (1 მაისს) ვერსალში. დიდის მოუთმენლობით მოელოდნენ ამ დღეს, რადგანაც ეველამ იცოდა, რომ დიდი და ცნარი ბასი გაიმართებოდა იმ საქმეების თაობასად, რომელნიც პარლამენტის უქმობის დროს აუმაღლენ საფრანგეთს. მეტადრე ერთმა საგანმა მიიპერო საზოგადოების ურადღება. ბოლოს დროს საფრანგეთში, და სხვა ქვეყნებშიაც, გაძლიერდა კათოლიკის სამღვდელთა მოძრაობა, რომელსაც საგნად აქვს აღადგინოს დანგეშული უფლება და ძალა პაპისა. ამ ვაჟ-ბატონებს, რომელთაც ჰსურთ ხელმეორედ იგივე უფლება მიანიჭონ პაპს, როგორც საშუალ-საუკუნეში ჰქონდა, უწოდებენ კლერიკალებს, ულტრამონტანებს. ამ ბოლოს დროს, ამ კრელიკალებს მხელი საქმე დაემართათ თითქმის ეველგან, გერმანიაში, თუ იტალიაში, თუ საფრანგეთში: უწინდელ დროს თვითონ ხელმწიფეებს ემინოდათ პაპისა და ესეა კი საერო სახელმწიფომ იმ რიგი მიმართულება მიიღო, რომ სრულებით დაიმორჩილა პაპი და ეველა მისი მომხრე. გარდა ამისა კლერიკალებს წაერთვათ უწინდელი სიმდიდრე, და საპოლიტიკო ცხოვრებაში გავლენა ჩამოერთათ. თუ უწინ პოლიტიკა ეკითხებოდა ხოლმე ეკლესიას, ამ ჯამად თვითონ ეკლესია ემორჩილება საპოლიტიკო ცხოვრებასა. თუმცა ეს ეველა ანეა, მაგრამ მაინც კლერიკალებს იმოდენა ძალა კიდევ შეჩათ, რომ დრო გამოძვებით გამოჰყონ თავი და ბრძოლა გაუწიონ სახელმწიფოს. მათ მაინც კიდევ დიდი გავლენა და ხმა აქვსთ ემანუილების აღზრდაში. დიდი გავლენა და ხმა აქვთ დედა-კაცთა შორის, რომელთაც კლერიკალნი უფრო ძალე აიყოლიებენ ხოლმე, ვიდრე მამა-კაცთა.

აი წრეულაც გამოჰყვეს თავი კლერიკალებმა და შეუდგათ ერთი სამინელი მოძრაობა და ფაცა-ფუცი. ამ გვარის მოძრაობის მიხედვით ისინი, რასაკვირველია, ეოველთვის პოულობენ: წარმოსთქვამს პაპი ცნარ სიტყვას და დაუხატავს მათ თვის უბედურსა და გაჭირვებულ მღვდოანობას, მაშინვე მისი ხმა



ნაღარის კერა. კლერიკლებს შეუდგებათ ერთი საშინელი ქოთქოთი, მოჭყეებიან ახალის დროის რისხვასა და შეჩვენებას, მოჭყეებიან ქადაგებას, რომ გაუფუჭდა დრო, ღმერთი აღარავის არა სწამსო და მისის სააქაო მემკვიდრის, ზაზის სასოება აღარავის არა აქვსო. ამ რიგ ქადაგებაში, რასაკვირველია, ისინი საზოლიტიკო საგნებსაც ეხებიან. სახელმწიფომ წართვა მათ უწინდელი ძალა და ეხლა მათ ჰსურთ იმ რიგი სახელმწიფო განწყობილება დაადგინონ და იმ რიგი კაცები დააუენონ მოთავუთ, რომელთაც იგივე წადილი და განზრახვა აქვთ გუღში, როგორც თვით კლერიკალებს.

საფრანგეთში კლერიკალები რესპუბლიკის მტრები არიან და ჰსურთ დააარსონ მონარხიული მთავრობა, რადგანაც მონარხისაგან მეტ სიკეთეს მოელიან, ვიდრე რესპუბლიკისაგან. ამ ჟამად საფრანგეთში საჯარო ურილობა და ქადაგება, რომელიც საზოლიტიკო საგნებს ეხება, აღკრძალულია სამღვდელთათვის. სასულიერო კაცებს სასულიერო სამსახური აქვთ მინიჭებული და არა აქვთ უფლება საზოლიტიკო საქმეებში გაერიონო. თუძცა ამისთანა კანონი სუფევს, მაგრამ მაინც კლერიკალები თავისას არ იძლიან და ბევრსაცა ჰქადაგებენ და საჯარო ურილობასაც ჰმართავენ. ბოლოს დროს, როდესაც ზარლამენტი შესვენებას მიეცა, ეს ქადაგება ისე გავრცელდა, რომ მთავრობას არ შეეძლო ჯეროვანი ურადლება არ მიექცია, მით უფრო რომ კლერიკალების მოძრაობა უთანხმოებას მოასწავებდა საფრანგეთისა და იტალიის შორის, სადაც კლერიკალები იმავე განსაზღვრულში იყვნენ მთავრობისაგან და იმავე მეცადინეობაში, რომ ზაზი გადაარჩინონ იტალიის მთავრობის ვითომ-და ძალ-მოძრობასა. იტალიის მთავრობა ხედავდა, რომ საფრანგეთშიაც დიდი მოძრაობაა ზაზისათვის და, რასაკვირველია, შეშინდა — ამისგამო მძიმე უთანხმოება რამ არ ჩამოგვივარდესო მე და საფრანგეთისაო. შეშინდა აგრეთვე საფრანგეთის საზოგადოებაც: ამ კლერიკალებმა ერთი ვაივაგლახი არ აგვიტყვოს რაო. ამის გამო საზოგადოება მოუთმენლობით ელოდა ზარლამენტის კრებას, რადგანაც დაწმუნებული იყო, რომ რესპუბლიკელები უთუოდ ზასუსს მოჰკითხვენ მთავრობას, თუ რა ღონისძიება იხმარა მან, ან რას აწირობს ამ უძგ ზავსო მოძრაობის მოკვეთისათვისაო.

მართლა და, შეიყარა დეპუტატთა ზალატი თუ არა, დეპუტატმა ლებლონმა გამოიწვია მთავრობა ზასუსის საკებლად. ლებლონმა სთქვა: „მე არა მსურს შეურაცხ-ყოფა არც საწმუნოების გრძნობისა, არც სინიდისის თვისუფლებისა. რესპუბლიკის დასს მათი სრული ზატვიის-ცემა აქვს. აგრეთვე არა მაქვს განზრახვა ვაწყენინო საფრანგეთის სამღვდელთის უძრავლესობას, რომელიც ერთგულად ასრულებს თავის

მოვალეობასა. მე სახეში მაქვს მხოლოდ ის საზლიტიკო და სასულიერო დასი, რომელიც საზოგადოების სინიდისის წინააღმდეგ იქცევა და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, - აგები როგორმე ჩემი უწინდელი გავლენა კვლავ მოვიზოვო. ამ დასის წინააღმდეგ კანონმა მკაცრი საშუალება უნდა მიიღოს. ამ დასის გავლენა დიდა; ბევრგან მას მთლად უშერია ზირველ-დაწყებითი სწავლა; საშუალ სასწავლებლებშიაც უჭირავს მას ვრცელი ადგილი. გარდა ამისა, მან უძალეს განათლებისათვისაც გამართა უნივერსიტეტი; ჭაბუკთა უძრავლესობა მის ხელშია. ისტორიის გადასწავლერება, ეხლანდელის სულის მიდრეკილებისა და გვარტომობის გრძნობის შეურაცხ ყოფა, ყველა ავტორიტეტის ურ-მოჭრილი მორჩილება — აი რაში მდგომარეობს ამ დასის სასწავლებელთა მიძართულება. ამ დასის კაცებს კარგად ესმისთ, რომ მხოლოდ უძეცრების მეოხებით შეუძლიანთ მოიზოვონ მრავალი მოძნრე. იგინი შინაურს აღზრდაშიაც კი ამავე მიძართულებას ადგანან. ემაწვილებს ავოხებენ და უხერგენ, რომ ყოველი წესიერება და განწყობილება სახელმწიფოსი უხეიროა და ძირიანად აღმოსაფხვრელია. ამ სახით ჭაბუკთ ჰსწურთინან და ამხადებენ ურთი-ერთ შორის სისხლის ღვრისათვის.

„თავისუფლებას შეეძლო სათაკილოთაც მიეღო ეს ამბავი და ურინც არ ეთხოვებინა ამ გვარის მანქანებისათვის, მაგრამ აქ მთელი, განწყობილი შეთქმულობა არის საზოგადოების დასამხობლად გამართული. აქ საზოგადოებას სისხლის ღვრას უქადაიან მარტო მისთვის, რომ დაიბრუნონ უწინდელი უფლება, კვლავ ჩამოაგდონ ის რიგი და წესი, რომელნიც საუკუნოს განსვენებას მიეცნენ. ეს ამბავი დროებითი შეცდომილება კი არ არის, ეგ არის მთელი განწყობილება, რომლის მოთავუდ ერთი დიდი კომიტეტი, ხელთა-მძღვანელი სხვა ზროვინციებში-მყოფთა კამიტეტებისა. ესეთი მდგომარეობა საქმისა შეუძლებელია რომ განვავრძოთ; საჭიროა ვილონთ რამე, რომ ეგ ბოროტმოქმედობა ამოკვეთოთ; საჭიროა, რომ ყოველმა ამ გვარმა დანაშაულმა დაუყოვნებლივ ჯეროვანი სასჯელი მოიზოვოს კანონში“.

**წვრილი ამბები.** ინგლისს ძალიან ცხარი ზასუსი გაუგ ზავნია რუსეთში ომის გამოცხადების თაობაზედ. ამ ზასუსში მოხსენებულია, რომ რუსეთის მოქმედობა როგორც ხალხთა შორისის შეკრულობისა, აგრეთვე ევროპის საერთო ინტერესების წინააღმდეგიაო; რომ ხელმწიფე იმპერატორი ომის გამოცხადებით ევროპის თანხმობას გადაუდგაო.

— ინგლისი სცდილობს თურმე, რომ ომი მარტო ოსმალეთისა და რუსეთის შორის გათავდეს და სხვა სახელმწიფოებს არ გადაედვას. თუ რუსეთი სტამბოლს

არ შეეხება არავითარი მტრობა რუსეთისა და ინგლისის შორის არ ჩამოვარდებოა.

– ეტეობა, ფული ძალიან შემოჰკლებია ოსმალეთს რომ ბერძნების ეკლესიებთან სიმდიდრე ნახინაში მიიქვს. გარდა ამისა, მთავრობას გარდაუწვევტია, რომ მოხელე კაცებს მხოლოდ ნახევარი ჯამაგირი მიეცემათო.

– საფრანგეთის დეპუტატთა ზალატაში მთავრობისაგან მოუკითხავთ ზასუსი იმის თაობაზე, რომ ზოგიერთს საფრანგეთის გაზეთს ცუდად უხსენებია რუსის იმპერატორი. მთავრობას მიუგია ზასუსად, რომ ისინი, ვინც რუსის იმპერატორის საწეხად იქცევიან, დიდად დასაძრახისნი არიანო, მით უფრო რომ საფრანგეთს სურსო რუსეთთან მეგობრობა იქონიოსო.

– საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია ოსმალეთის ელჩის მიერ განცხადება, რომელშიაც მოხსენებულია, რომ სტამბოლში უცხოეთის ლეგიონი იკრიბებაო და ვისაცა ჰსურს ამ ლეგიონში შესვლა ელჩთან უნდა ჩაეწერნოსო.

– სტამბოლიდამ ერთს ვენის გაზეთში იწერებია, ოსმალეთის მთავრობას ჰსურსო, რომ ეველა მაჰმადის რჯულის ხელმწიფეს თავ-თავისი სამუდამო ელჩი ჰყვანდეთ ოსმალეთის წინაშე. ამ სურვილს ის განზრახვა აქვსო, რომ ოსმალეთს ეოველ ჟამს შეეძლოს იქონიოს მათთან დიპლომატიური მიმოსვლაო.

**ზოგიერთი რამ**

ჩვენ ისტორიასზე, არსეოლოგიასზე, ეოფა-ცხოვრებაზე და სს.

**II**

**ოსმალის საქართველო ანუ ქსხეთი.**

კვლად საჭიროდ ვრაცნთ „ივერის“ მკითხველებს ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ იმ მხარეზე, რომელზედაც ახლა მიქცეულია საზოგადოებრივად ეურადლება ჩვენი. ამ მხარეს უწინ ერქვა სხვა და სხვა სახელი: მესხეთი, ზემო-ქართლი, საათაბაგო. იმისი საზღვრები იწუობოდა აწინდელის ბორჯომის ხეობის შესავლიდამ და ერთის მხრით იმერეთისა და გურჯისტის მთით თავდებოდა, და სხვა მხრებით კი – შავის ზღვით, ტრანსკონის კიდით და სომხეთის მთით. აქ იწუობა მდინარე მტკვარი; აქვე მომდინარეობს ჭოროხი, რომელიც ბათუმის მახლობლად ერთვის შავ-ზღვას. მთელი მესხეთი მთიანი ადგილია, მშვენიერის ჰავით შესავებულია და სხვა და სხვა გვარის მცენარის მომცემია.

ოსმალის საქართველოს ძველად უფრო მესხეთად ოდნენ როგორათაც ქართველნი, აგრეთვე უცხო

ტომნი. არც ახლა არის დავიწეებული ეს სახელი – იქაურნი მცხოვრებნი ჩვენ დროსაც მესხებად იწოდებიან. მესხეთს იხსენიებენ ებრაელთა მწერალნი – მოსე და წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი და ბერძნის მწერალნი სტრაბონი, პროკოპი და სხვ. ისინი მესექს, მოსეხს, აგრეთვე ტუბალს, ტიბარს, ტიბარენს ეოველთვის საერთოდ უხვებებენ და თანა-ხმად გვარწმუნებენ, რომ მესეხნი მესხნი არიანო, ტუბალნი იბერნიო. ამ აზრის შესამოწმებლად შესანიშნავს საფრანგეთის მცენიერს ვივიანე სენმარტენს რამდენიმე საბუთი შემოაქვს თავის თხზულებაში: **Becherches sur les populations primitives du Caucase, Paris,, 1847.** თვით იმ მთებს, რომელნიც მცირე აზიის მთას ტავრს უერთდებიან და ახალციხის მხარეს მოსდევენ, უწოდდნენ მოსხეთისა ანუ მესხეთის მთად. გარდა ამის ძველადვე დარწმუნებული ივენენ უცხო ტომნი, რომ მესეხებს და ტიბარენებს ერთი შთამომავლობა და ერთი ენა ჰქონდათ. ვივიანე სხვათა შორის ამას იმითი ამტკიცებს, რომ სტრაბონი (სცხოვრებდა პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად) ქართველებს, მესეხებს და ლაზებს ანუ ჭანებს ერთის სახელ წოდებით იხსენიებსო: ლეს **peuples tibareniens** „ერნი ტიბარენისანი.“

ვისაც კი მესხეთში უძვ საზრნია და იმის მცხოვრებთ დაჰკვირვებია, ის ადვილად დარწმუნდება, რომ მესხნი საზოგადოდ ბევრით წინ ეოფილან თავიანთ მოძმე, დანაშეთს ქართველებზე. რომ მესხნი მოწინავენი უნდა ეოფილივენენ მთელს საქართველოს ტომში, ამისი დამტკიცებაც ძნელი არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ძველად საქართველო დანახლოებული იყო ისტორიულ ტომებთან – ბერძნებთან, რომელთა და ვიზანტიელებთან. მათ უახლოეს სცხოვრებდნენ უფრო მესხნი და კოლხიდელი ანუ იმერნი. მესხნი სომ სრულებით იმათნი მოსაზღვრენი ივენენ. რამდენადაც დამორებული იყო იმათზე რომელიმე საქართველოს ნაწილი, იმდენად ის უფრო დაბალ ხასისსსე იღვა. მესხეთის მცხოვრებნი შრომის მოყვარეობით განვითარებული ივენენ. ღებუა დე მონპერეს, ფრანციელს მოგ ზაურს (1828 წ.) შემოაქვს მესხეთის აღწერაში პროკოპის სიტყვები. აი რას ამბობს პროკოპი, მეექვსე საუკუნის მწერალი; „მესხეთი თუმცა მთიანი ადგილია, მაგრამ ფრიად ნაეოფიერია; თვით მესხნი დიად დახელოვნებული არიან მიწისა და ვენახის შემუშავებაში.“

აქ მერვე საუკუნეში პირველად დასდო ბინა ბაგრატიონთ გვარმა და აქედამევე აავრცელა მან თავისი ხელმწიფება მთელს ქართველობაზე. შემდეგ, როდესაც ბაგრატიონნი საქართველოს ტახტზე დამკვიდრდნენ, მესხეთი იმათ საუფლისწულოდ დარჩა. იმათგანვე არის



იქ აღმწერული უკეთესი ტაძრები და მონასტრები, უკეთესი მთელს საქართველოში სიმშენიერით და ხელოვნობით. ზოგიერთი ამ ძეგლებთაგანი მტკერის დაელოებაზეა, მომეტებული ნაწილი კი ჭოროხის ხეობაშია; მაგალითად, ტბეთი, ხახული, ანხა, ოპიზა, ფარხალი და სხვ. ესენი ახლაც მთლად არიან. ახალციხის მანრის ეკლესიების თითქმის ყველა აღწერილია დუბუასა და ბროსეს საგან: ქუმურდო, ზარხმა, ვარძია და სხვ. საზოგადოდ, მესხეთის ტაძრების კედლები შემკულია მრავალის წარწერილებით. მესხნი იუვენ უკეთესნი მცველნი საქართველოს სამფლობელოსანი და სახელგანთქმულნი მეომარნი. როდესაც ჩვენ გარეგანნი მტერნი დაგვესმოდნენ, იმათ თითქმის ყოველთვის უპირველესი ადგილი ეკავათ ბრძოლაში. მესხების სწავლა-განათლებაზედაც ეს უნდა ითქვას. თითქმის მთელი სამართა წერილი და მამათ თხზულებები მესხების შრომაა. წმინდა ექვთიმე და გიორგი მთა-წმინდელი (მეთერთმეტე საუკ.) იუვენ მესხნი. განვითარებული ენით და სწავლით ზეტრიკი კავკასიე (მეთერთმეტე საუკ.), ზოციტ სარგის თმოგველი, სახელოვანი შოთა რუსთველი, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი (მეთორმეტე საუკ. გასულს) იუვენ აგრეთვე მესხნი. არ ვინსენიებთ სხვათა მრავალთა მესხეთის მწერალთა. რაღა თქმა უნდა, რომ თუ რომელსამე მხარეს შეუძლიან ამ გვარნი მალაღ-ნიჭიერნი და დახელოვნებულნი მწერალნი შობოს, იქ საზოგადო ხალხის ენაც კარგად უნდა იქოს შემუშავებული და სწავლა-ხელოვნება გავრცელებული. აი რას ამბობს დუბუა ახალციხის მანრზე, რომელიც თვით უნახავს 1834 წელს; ეს სიტყვები მთელ მესხეთს მიეწერება. „ძველ დროში მთელი ეს მხარე აღუვალებული იყო; ხელოვნება და მეურნეობა ჩინებული ჰქონდა; თვით იმ კლდე-ღრებში, სადაც კი ადამიანს ხელი უწვდოდა, გამოჭრილი იყო არხები, რომელთაც ახლაც განცვრიფრებაში მოჰყვებართ; ეს ადგილები დიდროვანის ქვის ზღუდეებით კიბე-კიბე იუვენ მეჭრილნი, როგორადაც კენევაში და ნემატელში და შემკულნი მრავალის ვენახით და ბალით. თუძვა მდებარება მხარისა მთა-კლდოვანია, მაგრამ იქ მესხის შრომამ და ხელოვნებამ ყოველ-გვარს მცენარეს სული ჰშობა. ბარათ ზური უხვად მოდიოდა“. ამ სიტყვებს ქართლის-ცხოვრებაც ეთანხმება. ის ჰმოწმობს, რომ როდესაც საქართველოში მიმძილი იყო ხოლმე, ხალხს მესხეთი ჰკავებოდა.

აი კიდევ რა სამსახური მიაგომესხეთმა საქართველოს. ერთობა მთელის ჩვენის ტომისა მესხეთიდან იწყო. მათე საუკუნემდე იმერეთი, რომელსაც იმ დროს აფხაზეთი ერქვა, ქართლი, კახეთი და თვით მესხეთი დაგლეჯილი იყო და დანაწილებული ჰატარ-ჰატარა

სამთავროებად და სამეფოებად. მათე საუკუნეში მესხეთის კურონალატმა დავითმა ბაგრატ მესამე იძვილა და მთელის საქართველოს მეფედ დაადგინა. ამ დროდამ იწყობა საქართველოს განძლიერება და აღუვაება. ვიდრე ეს ერთობა არსებობდა, ჩვენი ქვეყანა დიად კარგს მდგომარეობაში იყო, კავკასიის მთები იმას ხელში ეჭირა; სხვადასხვა მოსაზღვრე ტომნი და მტერნი ხშირად დამონავებულნი ჰყვანდა. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, რაოდენისამე საუკუნოს შემდეგ ეს ერთობა ისევ შეირვა. დაწესდა შემკვიდრებით სამთავროები: გურია დაიჭირა ვარდანიმემ, სამეგრელო-დადიანმა, აფხაზეთი-შარვაშიმემ, სვანეთი-გელოვანმა, მესხეთი-ჯაყელმა. ცხადი საქმეა ეველასათვის, რომ ეს შემთხვევა დიად მავნებელი უნდა ყოფილიყო. საქართველო მესუსტდა და ბოლოს სრულებით დაირღვა. რუსუდან დედოფლის შემდეგ მონგოლებმა დააფუძნეს ორი სამეფო და შემდეგ, როგორც ვიცით, ამ ორმა სამეფომ მესამედ შობა და რა უბედურება დაერთო იმას, თქმა აღარ უნდა... მთავრებში უპირველესი ადგილი ყოველთვის ეჭირა ჯაყელს. ეს სახელი მიეცა იმის გვარს ჯაყის ციხის გამო, რომელიც ახალციხის მანლობლად მდებარებდა და რომელიც ძველად იმის გვარს ეკუთნოდა. ბაგრატ მეოთხის დროს ისტორიაში მოხსენებულია თუხარისის ერისთავად ბუშენ ჯაყელი; თამარის დროს ბოწო სამცხის სპასალარად, ბუგამანდატურთ-უხუცესად, შალვა-ემირთ ემირად. შემდეგ ამ გვარმა ათაბეგობა დაიპყვიდრა და ამისგამო მესხეთს დაერქო საათაბეგო. იმ დროდამ, როდესაც საათაბეგომ და სხვა სამთავროებმა მოსწეს ურთი-ერთ შორის კავშირი, იწობა შეუწყვეტელი ბრძოლა მთელის ტომისა, შინა და გარედ. ათაბეგები დაუახლოვდნენ, დაუმოყვრდნენ ტრანზიზონის იმპერიას, რომელიც დაფუძნებული იყო თამარ დედოფლის მეცადინეობით. ერთი ათაბეგების ნაღვაწთაგანი არის საფარის მონასტერი, აშენებული მათგან მეთოთხმეტე საუკ., მშენიერის ხელოვნებით და მხატვრობით. იმის კედლებზე არიან წარმოდგენილნი თვით აღმშენებელთა სურათები. არც ერთი ეკლესია საქართველოსა, არც იმდროისა, არც შემდეგისა, ჩვენის აზრით, არ უდრის საფარს. საფარა იყო ათაბეგების სამარხი.

ოსმალთ შემოსვლა ევროპაში და იმათგან დაპურობა კოსტანტინეპოლისა 1453 წ., – და შემდეგ ტრანზიზონის დაჭერა 1462 წ., – ცუდი ნიშანი იყო საქართველოსთვისაც. მესხნი ოსმალთ მოსაზღვრედ სცხოვრობდნენ; მაშასადამე მესხეთ-სათაბეგოსაც დღეს თუ ხვალ ბოლო უნდა მოჰდებოდა. ოსმალნი შემდეგ ტრანზიზონის იმპერიის დამონავებისა მოაწოდნენ ჩვენ მხარეს. ასტელა სასტიკი ბრძოლა. საათაბეგომ დიდ-ხანს იბრძოლა. ბოლოს 1625 წ.

ჰმურად მეოთხემ, ბეგა მესამეს მთავრობაში ათაბეგები დასცა და ახალციხე სრულებით დაიჭირა. ბეგა გამაჰმადიანდა და სახელად საფარ-ფაშა დაირქვა. საფარ-ფაშა და იმისი მემკვიდრეები ახალციხის ფაშებად დანდნენ. უკანასკნელი ჯაყელების გვარის წარმომადგენელი იყო უსუფ-ფაშა მესამე, რომლის სიკვდილსაც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს 1744 წელს. ამ დროდამ ეს გვარი აღარა ჰსჩანს. ამტკიცებენ, ვითომც იმისი შთამომავლობა ლივანაში ცხოვრობდეს. შემდეგ ერთს ქართველთაგანს კიდევ ვნაოულობთ ახალციხის ფაშად: ის იყო სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც ფაშად დაჯდა 1803 წ. და თავმოკვეთილ იქმნა სულთნისაგან 1815 წელს. სელიმი იყო ზაზა ახლანდელის ზემო-აჭარის ბეგისა შერიფ-ხიმშიაშვილისა.

(დასასრული შექცეუ №-ში.)

დ. ბ.

**თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსნი.**

მართა ავათ-მყოფობისა და ექიმის ნახუა.

ოდეს ზირველმან კაცმან მცნებისა გარდახდომით წარწყმედა მოიწიდა უფლისა გულის-წყრომით, მაშინ მზისა სინათლე მოიცვა შავმან ბნელმან, ცამან გვრგვინვა დაიწყო, ქუხვა მესმან მჭეხელმან. მრთლად ქვეყანა იმროდა: ქარიშხალნი მქროლელნი აქ ჰგლეჯდნენ დიდთა ხეთა, მუნ იუვნენ კლდეთ მრეველნი; ზღვა ღელავდა მრისხანედ დევთაცა საშინელი, სასო-წარკვეთილებით ჰთრთოდა ეოვლი ცხოველი. შემდგომ ქვესკნელს ხმა რამე ისმა გრძლად გრილისა, თვალთ იხილეს განკრთომით განსხნა დედა-მიწისა. მუნით ბნელი სატანა ამოხდა დადრეჯილი, აღმოაგდო ეუთი რამ გარე შემოკუზრული. ეუთი განტევრა სასტიკად, განაგრცო კომლი შავი ზრქელი და შეუცვალა, მურალი და ეოვლად ავი. მუნითვან განიბნივნენ სხვა და სხვანი ჭირები ზაფრა, ხველა, სიჭლექე და ქარები ხშირები, გამბერველი წუალ-მანკი, მღვევი ცივებ-ცხელები და ათასი სხვა სენი, ტანჯვა მტკივნეულობა.

ამათგან ავი ერთი ჩვენს მართასაც ხვდა წილად, ხან ფესს უჭერს, ხან მუნლებს, ეპარება წვრილ-წვრილად, ზოგჯერ სკუპით მუნლიდგან გულზედ გადახატება. თუ იკითხამთ იმ სენსა სიმსივნე ეწოდება.

ზირველ მართას გაცნობებთ რომ უფრო შეიბრალთ: გულოვანი ვერ არის, — რად უნდა დაგიძლოთ, — სვედა ჩამომავლობით სამკვიდროდ დარჩომია, რადგან ერთისა მხრიდგან . . . . . ტომია; არცა ახოვანია, არც ბრვე, არც ღონიერი, მომცრო, ნაზი, მოსუსტო, სამუალ ხანიერი. ბუნების ისტორია ვერ იცის კარგა დია და ამისთვის ძირ-დიდა ბევრჯელ ჭირი ჰგონია. თვით ვასინჯეთ, სიმსივნეს როგორ შეუძინდება! ან ამგვარი ტკივილი როგორ დაუძმიდება!..... რა თვალებს ახილვებს მოჰყვება ეელის ზომას და იმანის: „მომედეთ ჩემს ამ გვარად განდომას, „აქ მიუერთო, ეოვულ დღევ რამდენი შემატება! „აი გულს როგორ მაქმენს, აი როგორ მენთება!.. „აქამდის რომ მომივა, მაშინ კი შენი მტერი „როგორც მე შევიქნები! მინახეთ სახის ფერი, „აბა ხელი წამისვით როგორ ამოძჯდომია... „მე ჩემს კამში ექიმი ასრე არ მომნდომია.“

დმერთი გაჭირებულთა არ ავდებს ნუგემ-გარედ: ერთს დღეს ვნახეთ, ოდესცა მართა ჩიოდა მწარედ, გამოცდილი ექიმი, კახეთს სახელ-განთქმული ცხენით კარს კი მოადგა, ვითა დაბარებულნი. სნეულისთვის მკურნალი დიდი მოსალხენია... მართას უნდა ჰსთქვას რამე, მაგრამ ხალხში ჰრცხვენია. ცდილობს ცალკე ჩაივდოს, მარტოს ახვენოს მავა, უამბოს სატკივარი, ისმინოს მისი განსჯა. ესეც მალე ელირსა: დოხტურბაშმა, თავაზით ადგა, თვით მოიკითხა ავათ-მყოფი სინაზით. მართა ეტყვის: „ავეტყე, მე აქ ვერას ვიამბომ, „ცალკემინდა რომ მნახო, ეველა გითხრა, რასაც ვჰგმნობ“ დოხტურნი ქალთ წამლობას როგორღაც ეწეობიან, სიამოვნით უსმენენ, ვინც კი მიენდობიან. ავეტიქამ მაშინვე დაუნიშნა ადგილი, საიდუმლო, დახმული, დახურვილ-შეკეტული.

აქ შეიუარნენ ორნი მკურნალი და სნეული; ერთი სმენას მოელის, მეორეს უფეთქს გული! ბოლოს საბრალე ექიმს მოთმინება გაუწევდა... „— რატომ არას მიბძანებთ, ტკივილს შეტეობა უნდა.“ მართამ ამოიოხრა, უთხრა: „აბა რა მეთქმის? „ჩემი ჭირი და სენი უკვირს, ვისაც კი ესმის. „სიმსივნეა?! არ არის! წუალმანკია?! არა ჰგავს!

„ქარებია?! ვერ ვატყობ! ნიკრისია?! არა ჰსჩანს!  
 „აი ჩემი ხელები, აი გ უ ლ ის ფიცარი,  
 „აი სახე როგორ მაქვს! ვერ მიმხვდარვარ, რა არი.  
 „ოღონდ კი მომარჩინე ამდგენს ტანჯვას და შიშსა,  
 „ამდგენს ოხვრას და კვნესას, ამდგენს ვაის და ვიშსა,  
 „ნეტა ასრეთს რას მეტყვი, რომ არ დაგემორჩილო,  
 „ნახე ჩემი ფეხები, აი ძმაო და შვილო!...“

ავე ტიქამ მიუგო: „მართლად დაგსიყვებია.  
 „ეს, ბატონო, მე ვიცი, ნიკრისის ქარებია,  
 „ეს ჩემს კარბადინში დიად კარვად ჰსწერია,  
 მართლა ავი სენია, მაგრამ არაფერია.“

— „როგორ არაფერია, ლამის სული ამომძვრეს...  
 „გენაცვალა, ეს სიმსივნე როდის უნდა დამიცხრეს!..  
 — „მაგ სიმსივნის მორჩენა მე კისრად ამიღია...  
 „მე ვეუფლანი მიცნობენ, ვეუფლან კარი მაქვს ღია,  
 „ვისაც კი მე ხელს დასდებ როგორ დამიძვრდებია!..  
 „ფეხებისთვის ნუ ჰსწუხარ, მაგითი რა გახდება...  
 „ახლა რა მოგახსენო: მოწამე თვით ღმერთია,  
 „ხომ იცით რომ მოძღვარი და ექიმი ერთია.  
 „ჩემგან არ უნდა შეგტყვევებ და არც უნდა დამალოთ,  
 „წინაღვე მოგახსენებ რომ დაურჩები უვალთ.“

— „ვი, ავიტექ! ნეტავი ჩემს გულში ჩაგახედია!..  
 „მე სიკვდილისა შიშთან ასრე გადამახედია,  
 „რომ სირცხვილი ვის ახსომს და ახლა მორიდება,  
 „ვეუფლას ვახვევებ სოლმე, ვინც კი მცოდნე შემხვდება.  
 „ღარ ვის რას ვუძალავ, ოღონდ კი მოვრჩე მეთქი...  
 „კაცს რას არ აქმნევენებს სენი გ უ ლ ის გამხეთქი!..  
 მაშინ ჩვენმა დოხტურმა დაუწყო შინჯვა სხეულს,  
 ხან თვალებში უეურებს, ხან ფეხს უხხრებს და ხან გ უ ლ ს,  
 ხან ხელების სიმსივნეს ხელის სმითა უზომავს.  
 მერე ჰკითხა: „ეს სენი რა ხანია რომ გტანჯავს?“

— „რა ხანია? ორი თვე... არა,... ექვსიც იქნება...  
 — „კარგა ხანი ეოფილა, მამ მქავე არ გმძება.  
 „წუენისავ ან ეგ სენი ბევრჯელ დაიბადება.  
 „თუ რომ გწუენოდესთ რამე, მითხარით, რა იქნება.  
 „წუენა... წუენა... ოღონდაც ეგ არის სენის ბინა!  
 — „აი დედაშვილობამ, მე გეტყვი, რაც მეწუენა:  
 „ხელს საქმე დიდად მიუვარს, ეს შენც გეცოდინება, —  
 „ერთს რედიკულს ვქსოვდი რომ რა ვჭსთქვა მისი ქება!..  
 „მისი მგ ზავსი ამ ქართლში არა ვის რა უნახავს...  
 „რომ გენახა, იტყოდი, ეს მხატვარს დაუხატავს.  
 „მაგრამ ჩვენი ქალები, ეოვლის ჭორის დედები,

„ღმერთმან ვეუფლას აშოროს, შურით წინ-აღმდეგები...  
 „რა ნახეს რედიკული, ჯერ ვეუფლამ მითხრეს ქება,  
 „მერე ცოტას ხანს უკან მიძაგეს შეხამება,  
 „მერმე სახისა მითხრეს, ამას ვერ ეწუობაო  
 „მერე მარგარიტისა — ესეც არ უხდებაო.  
 „ბოლოს ესეც კი მითხრეს, ბაწრის ჰაიჭსა ჰგავსო!  
 „ამდგენმა დაწუნებამ მწარედ სევდით ამავსო....  
 „იმათთან კი ვითმინე, მაგრამ მემრე კი მოვკვდი,  
 „დავჯეგ ვაჯარვებუღი ხან ვარღვევდი, ხან ვთროდი.  
 „რა საკვირველი არის, ჩემს სენს დიდად აწუენდა,  
 „ეს მუცლის შემობერვა სელ მას აქედ დამჩემდა.“

— „სხვა მიზეზით მოგსვლია, ჰგავს რომე სისხლი  
 გტარბობს,  
 „მხურვალემა გაწუნებს, ეს მაჯა ასრე ამბობს...  
 „ღამე ავი სიზმარი ხომ არ მოგ ზმანებია?  
 — „რასა მკითხავ, ავეტიქ? ეგ რა სახსენებია!  
 „არ ვიცი რისას მკითხავ მზმანებია, თუ არა?  
 „რა უნდა მზმანებოდა? არა მზმანებია რა...  
 — „.....  
 — „.....  
 — „ეგეც იმისგან არის... მამ სიზმარსაც ნახავდი?  
 — ვი! ნეტავი რას ამბობ? ახა რად დავმაღავდი.  
 — არა, ჩემო ბატონო! უთხრა ექიმმა წუენთ,  
 მე ავრე ვერ გიწამლებ ტყუილების მოსმენით...  
 რა ხან მე ვერ მნდობიხართ, სხვა იშოვეთ მკურნალი,  
 მშვიდობითო, მე თქვენ აქ არა მაქვს წამალი.

**რა მიზეზია სერბის დამარცხებისა?**

(დასასრული)

ახლა ვნახოთ რა გავლენა ჰქონდა ბიუროკრატიულ განწუობილებას როგორც ხალხის ხასიათზე და წნეობაზე, აგრეთვე მის საზოგადოებრივ წესიერებაზე. რამდენიმე ტანჯვით გატარებულის წლის განმავლობაში სერბის ხალხმა ოსმალეთის ძფლობელობის ქვეშ განიფითარა და შეიმუშავა თვისი განსაკუთრებითი ეკონომიური და პოლიტიკური წესიერება და მხედველობა, რომელთაც — კარგნი იყვნენ თუ ავნი — დაცვეს ხალხის თვით არსებობა, მისი საკუთარი სული, ერთობა და თვისება. ეს წესიერება და მხედველობა წანართვა ხალხს ბიუროკრატიულმა განწუობილებამ; მან დაარღვია ეველა ის, რამაც დაცვა ხალხი, როგორც ხალხი, და რაც თვითონ ოსმალეებმა



ვერ მოხწეს ხუთის საუკუნის განავლობაში, როდესაც სერბიის ხალხი მათი სრული მონა იყო.

ბიუროკრატიაში ჯერ ჯერობით გააუქმა სოფლის თემობა (ОБЩИНА). მოხზო „ზადრუგა“ (ოჯახობა) და სხვა ამგვარი სოფლის წყობილებანი. გაუქმდა აგრეთვე ძველებური სკუპტინა და საერთო მფლობელობა მიწისა.

რომ ცნადად დავანახოთ მკითხველს, თუ რა დაკარგა ხალხმა ეველა ამ წესიერების გაუქმებით, საჭიროა ავუსსნათ რაში მდგომარეობდა იგი წყობილება.

ს ა ე რ ო ს კ უ ც შ ტ ი ნ ა ძველებური უფლება და წყობილებაა ხალხისა. როდესაც ხალხს მძიმე საქმე ჩამოუარდებოდა ხოლმე, შეიკრიბებოდა თემ-თემად სხვა და სხვა ადგილს და სჯიდა მასწედ, თუ როგორ უნდა მოიქცეს. ამ გვარს ერილობას სკუპტინა ერქვა. შემდეგ ეს ერილობანი ერთი ერთმანეთს აცნობებდნენ თავიანთ განაჩენს, და ამ რიგად შესდგებოდა საყოველთაო გარდაწვევტილება. თუ საქმე სერბიის ერთს რომელსამე ადგილს ეხებოდა, მარტო ამ ადგილის ხალხი იკრიბებოდა და მარტო იგი სჯიდა თავის საქმეს. ვისაც კი ჰსურდა, შეემლო ამ სკუპტინებს დასწრებოდა, შეემლო მისუღიყო და გამოეთქვა თავისი აზრი. სკუპტინაში დასწრება არამც თუ არავისთვის არ იყო აკრძალული, არამედ დიდი სიძნეხილიც იყო, ვინც მოავლდებოდა სკუპტინის გარდაწვევტილებას ეველა უნდა დამორჩილებულიყო. ამ საუკუნის დასაწყისში აი ამ რიგ სკუპტინებში გარდაწვევტიეს, რომ ოსმალებს უნდა წინააღმდეგეთო: ამ რიგ სკუპტინაშივე ამოირჩიეს ეარა-გეორგი აჯახების მოთავედ. სკუპტინა განაგებდა მას თუ ბრძოლა ოსმალთან როგორ უნდა წარემართათ და საიღვან უნდა ემოჯნათ სამხედრო იარაღი და სურსათი. აჯახების ზირველ ხანებში სკუპტინები ხშირად იკრიბებოდნენ ხოლმე და ძალიან მძიმე საქმეებსაც აწარმოებდნენ.

თუმიცა ბიუროკრატიაში განწყობილებამ კანონად არ დასდვა მოხზობა სკუპტინისა, ე.ი. კანონით იგი გაუქმებული არ იყო, მაგრამ საქმით კი გაუქმდა და რაც დარჩა, ისიც ძველებური ხალხის სკუპტინა აღარ იყო, რადგანაც თვითან ხალხი თავისით კი არ იკრიბებოდა, არამედ მთავარი შეჰპრიდა ხოლმე სხვა და სხვა მასწრების უფროსებს, ჰკითხავდა სხვა და სხვა საქმეთა შესახებ რჩევას და მოისმენდა წინაღვე მის მიერ დამსადებულს ზასუსს. ერთის სიტყვით, ეს იყო მხოლოდ სკუპტინის ბიუროკრატიაული თამაში და არა ნამდვილი „საერო სკუპტინა.“ კონსტიტუციის დადგენის შემდეგ სკუპტინას გარემოება ცოტად გაკეთდა, მაგრამ მაინც კიდევ დიდი განსხვავებაა

ესლანდელისა და ადრინდელის სკუპტინის შორის. ესლა რომ სკუპტინამ ცოტადენი სიმტკიცე გამოიჩინოს, მაშინვე, კონსტიტუციის ძალით, დაძლიან ამისთანა სკუპტინას: მე ვიცი, გაუჭირდებთ კონსტიტუციაში იზოფონ ამისათვის საჭირო მუხლი!

ს ა თ ე მ ო გ ა ნ წ ე ო ბ ი ლ ე ბ ა ც დიდ თავისუფლებას უცნავდა სერბიელებს. ხალხს არა ჰსურდა, რომ ოსმალები გარეულიყვნენ მის საქმეებში, არა ჰსურდა, რომ მათ ხელში ეოფილიყო მისი საჩივარის გარჩევა, რადგანაც ოსმალები ეორანის ძალით სჯიდნენ, და ამის გამოისობით ხალხმა, იმ საუბედურო დროში, დააწრა თავისი საკუთარი თემობა, სადაც თვითონ ხალხი განარჩევდა თავის საქმეებს. ზარმაცი ოსმალები არა ვითარ დაბრკოლებას არ აძლევდნენ ამ რიგ განწყობილების დადგენისათვის, რადგანაც იმათაც ის უნდოდათ, რომ ეოველი გამკეობა როგორც ტვირთი თავიღვან აეცილებინათ. ოლონდ კი ხალხს თავის დროზედ შეეტანა ხარჯი, და ოსმალებს სხვისა არა ენაღვლებოდათ რა. ხალხი აძლევდა მათ ხარჯს და თვითონ განაგებდა თავის საქმეებს. თუმი ისეთნაირად იყო გამართული, რომ ხალხის ეველა მოთხოვნილებას აკმაეოფილებდა, რასაკვირველია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ოსმალების მფლობელობის ქვეშ.

თუმი ხარჯსა ჰკრეფდა, გვამსა და ქონებას იცავდა, ირჩევდა იმისთანა ძღველეს, მასწავლებელს და მსაჯულებს, რომელნიც ეველასედ ზატეფსაცემი ეაცნები იყვნენ. ივინი ასრულებდნენ თვის თანამდებობას უფასოთ და როგორც სხვა ვლენები, თავის მუშაობით სცხოვრობდნენ. ვინც მათი გარდაწვევტილების კმაეოფილილი არ იყო, შეემლო სოფლობის (МІРЬ) წინაშე ეჩივლა

თუმი სხვათა შორის, ეკონომიურის მხრითაც დიდს შემწეობას აძლევდა ხალხს. როდესაც კარგი მოსავალი მოვიდოდა ხოლმე, თუმი ზოგ სჭირნახულს გადასდებდა შესანახავად, რომ საკულაოდ, ცუდის მოსავლის დროს, წლის გამოსაკეები ჰქონოდა.

ერთის სიტყვით, ამ თემების ეველა მოღვაწეობის აღწერას რო მოევეე, დიდი დრო და ალაგი მომინდებოდა. მოგახსენებთ კი, რომ მარტო ამ რივის განწყობილების შემწეობით აიტანა ხალხმა ცნრა წლის გაუწვევტიელი ბრძოლა და არც სულადი და არც სხვა ფრივი სორავი რამ არ შემოჰკლებია.

ზ ა დ რ უ გ ა არის ერთი დიდი ოჯახი, სახლობა: მძებნი, შვილები, შვილისშვილები და სხვა შეადგენდნენ ერთს დიდს ოჯახობას, ერთად სცხოვრობდნენ და საერთოდ შრომობდნენ; ეოველი მათი ქონება საერთო იყო. ზადრუგის წვერნი, ანუ ოჯახის-შვილნი ირჩევდნენ თავის სახლთ-უსუცესს (старѣшйна). ოჯახის საქმეთა გამკეობისათვის. უფრო რასაკვირველია,

მონუცებულს კაცებს ხვდებოდათ ხოლმე ეს ზატვი, მაგრამ მონდებოდა ხოლმე, რომ ახალ გაზდებსაც ამოიწხევენ თუ კი ჭკუით ან გამჭრინახობით თავ-გამოჩენილნი იყვნენ. ხშირად დედაკაცებიც ამოურჩევიათ. სახლთ-ურსუცის მართავდა ზადრუგის ჩვეულებრივს საქმეს გარდა მძიმეთა საქმეთა, რომელთა გამგეობა თვითონ ზადრუგის ხელში იყო, ე. ი. მძიმე საქმეებს წვერნი ანუ ოჯახის შვილნი საერთოდ განაგებდნენ. თუ რომელიმე წვერი დანარჩენ წვერთა დაკითხვით გამოვიდოდა ზადრუგიდან, იმის საერთო ქონებიდან ხვედრი წილი მიეცემოდა. ეოველი წვერი შრომობდა თავის შემდლებისა და ნიჭის და კვალად, და საცხოვრებელიც ეძლეოდა საჭიროების მიხედვითა. ამ სახით სხვა და სხვა უბედურება, მაგალითებრ: ხანგრძლივად ავთიმოფობა ან სიკვდილი მამისა და სხვისა ვისიმე მთელს ოჯახს არ აღარბებდა.

თუძცა სერბიის ხალხი დიდი ხანი იყო ოსმალების მონაობის ქვეშ, მაგრამ ზადრუგის შემწეობით, სიგლახაკეს, სიღარიბეს გადაურჩა.

ესლა კი ბიუროკრატულმა განწეობილებამ და ბიუროკრატულმა კანონებმა, რომელნიც ფართო გზას უკაფვენ ეოველ მხრივ განაწილებას და დაეოფას, სრულებით დაარღვია ზადრუგა. ამ ქამად სერბიაში ერთს აღამიანს ვერ იზოვით, რომელსაც კი არ ენახებოდეს ეს ზადრუგა. გარდა ამისა ბიუროკრატულმა განწეობილებამ მოსწო ბეგრი სხვა ამ გვარი წეობილება, რომელნიც თვითონ ხალხმა შეიმუშავა და თვითონ ხალხის ჭკუამ და გონებამ აღმოძობა. ზოგიერთი რამ ნაშთათ კიდევაც შერჩა სერბიას, მაგრამ მათ შორის რაც იყო და რაც დღეს არის დიდი განსხვავება.

ჩვენ ამას კი არ ვჩივით, რომ ძველებური განწეობილების სახე აღარა არის. იქნება ეგ გარემოცულება, ეგ სახე ცუდი და ახალი დროისათვის გამოუსადეგია, იქნება საკმაოდ ფართო და გამლილი არ არის. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თვითონ ის დედა-აზრი დაირღვა, რომელიც წემოხსენებულის სახით განხორციელებულ იყო. დაიღუპა ეს დედა-აზრი და თან გადაჭევა ის ცხოველი ცხოვრებითი ძალაც, რომელიც ხალხს ამხნეებდა, აერთებდა, აჩვევდა საერთო საქმისათვის მზრუნველობას და ჰსწურთინდა საერთო შრომისათვის. აი რა შედეგი ჰქონდა ძველს წეობილებას: იგი ხალხის თვით-მოქმედების ძალას აღორძინებდა, იგი ასწავლიდა ურთიერთის მხარის მიცემას, ერთმანეთის შევლას, ერთად მზრუნველობას, ერთად მოსაზრებას. იგი

ასწავლიდა, რომ ზირადობის გარდა, არის კიდევ სხვა რამეც, სხვა საგანიც, რაზედაც კაცმა უნდა იფიქროს და იზრუნოს, რასაც კაცმა უნდა შესწიროს ერთი ნაწილი თვისის შრომისა და თვისის სიცოცხლისა. ეს სხვა საგანი არის — მისი ზადრუგა, მისი თემი და მისი სამშობლო. ამ წესიერების ძალით, სხვა და სხვა ოჯახების ეოფა-ცხოვრება ისეთ ნაირად გადაბმულნი იყვნენ ერთი ერთმანეთზე, რომ სრულებით ადგილი არა ჰქონდა იმ განთვითეულებას, რომლის ძალითაც კაცს საკუთარის ქონისა და ოჯახის გარდა აღარა ავონდება რა; ადგილი აღარა ჰქონდა იმ გულგრილობას, რომელიც ესლა დაეტყო ხალხს. ეს ბიუროკრატისგან დაღუწვილი წესიერება მტკიცედ ავონებდა კაცს, რომ იგი არის წვერი არამც თუ მარტო თავისის ოჯახისა, არამედ მთელის თემისა, სახელმწიფოისა, ხალხისა და ვალდებულია იმშრომოს, იბრძოლოს, ტანჯვა აიტანოს ეოველის ამის კეთილდღეობისათვის.

ახლა მითხარით, რა განაკვირველია, რომ ხალხს თან და თან გული გაუვრილდა საზოგადო საქმეებისათვის და მის შვილებს დაეკარგათ არამც თუ ის შემართებელი გრძნობა, რომელიც სულს უღვამდა მათთა და სხვა სლავიანების ერთობას, არამედ დაეკარგათ თვის შინაურობაშიაც გრძნობა ურთიერთის მშობისა, და ამის გამოისობით ეველაფერზედ გული აუცრუვდა, ეველაფერს დაუდევნელად და უგულოდ ხელსა ჰსჭიდებდა და აკეთებდა. კარგი ის არის რომ, იგივე ბიუროკრატია, რომელმაც ამისთანა მდგომარეობამდე მიახწევინა ხალხსა, ხალხსვე აბრალებს სერბიის უბედურებას. გუძინ ხალხს ეუბნებოდა, რომ სახელმწიფო საქმეები მენი საქმე არ არისო, დღეს კი იმასვე სთხოვს უმაღლეს საერო მამულის-შვილობის ცნობიერებას და ეუბნება: სამშობლო დიდ გაჭირვებაშიაო, დიდი თავგანწირულება უნდა გამოიჩინოვო, ჩავრულთა ძმების სიუვარული უნდა აწარმოვო, ერთის სიტყვით დღეს ბიუროკრატია იმისთანა ჭკუისა და წნეობის განვიმთარებასა სთხოვს ხალხს, რომელსაც თვითონვე გზა გადაუღობა და ბოლო მოუღო. აი რა დასკვნა გამოდის წეოხსენებულიდან: თუ შემდეგშიაც გინდათ ავიცილოთ თავიდან თვით-ცთომილება და მის მომდევარი უბედურება, ჩვენ ეველაზედ უწინარეს უნდა განვაახლოთ, ფენზედ წამოვაყენოთ ჩვენი შინაგანი განწეობილება.

ორიოდე სიტყვას კიდევ დავუმატებ: უკანასკნელ ომში მეცა მქონდა მონაწილეობა და მეც იმათში

ვიევი, რომელიც 17 ოქტომბერს დიუნშიდამ გარბოდნენ, მაშასადამე მეც კარგად ვიცი, რომ გარდა ხალხის ზნეობითის, გონებითის დასმობისა, დამარცხება ჩვენი ბევრი სხვა მიზეზითაც წარმოსდგა, მაგალითებზე: ხეირიანი იარაღი არ გქონდა ბლომად, არც დიდი სამხედრო ხელაწინა მობრუნება ჩვენ ჯარში და აფიცრებში. თუ ამაზედ არა მითქვამს რა, 1) იმიტომ რომ ამას ეველა ხედავს და იცი, და 2) იმიტომ – რომ ის უმთავრესი მიზეზი რომ არა ეოფილიყო, რომელიც ამ წერილში მოვიხსენიეთ, იქნება სხვა მიზეზებსაც ნაკლები გავლენა გამოეჩინათ და ნაკლები ვნება მოეტანათ.

რ უ ს ე თ ი

ომის გამოსწავლას დიდი სინარული და აღტაცება აღმოუჩენია მეტადრე მოსკოვში. ეს განცხადება, რომელიცაა ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტი იყო მოხსენებული, ისე დაიტაცეს, რომ ბოლოს განცხადების ფასი ხუთ მანეთამდე ავიდა. მანიფესტს ხმა მადლა ქუჩაში ხალხი კითხულობდა და თან „ურას,, იძახდა. ტრანსტირებში, რომელთა რიცხვი მოსკოვში აუარებელია, იგივე „ურა“ ისოდა და გალობა „**Боже царя храни.**“ მოედრებზე და უმთავრესს ქუჩებში დიდ ძალი ხალხი გროვდებოდა და აღტაცებაში ქედებსა და ხელსახოცებს მადლა ისროდა. ქალაქის გამგეობა იმავე აღტაცებით მიეგება მანიფესტს და მისთა წევრთა გადასწევით, რომ ვიდრე ომი არ გათავდებოდა ქალაქმა თავის ხარჯით მოსკოვში ათასი დაჭრილი კაცი უნდა შეინახოსო. გარდა ამისა მასკოვის ქალაქის გამგეობამ ერთი მილიონი მანეთი დაჭრილთა და ავანტიურების სასარგებლოდ შექსწირა. მოსკოვის სოვდაგრემაც ერთი მილიონი შესწირეს. თავად-აზნაურობამ შესწირა ათი ათასი თუმანი და ერობამაც (ЗЕМСТВО) ამდენი.

ჰეტერბულიც, რასაკვირველია, დიდის სინარულით მიეგება მანიფესტს, ჰარაკლისი ახთეინა, თანაგრძნობის დეპუტა გაუგზავნა დუნაისა და კავკასიის მხედრობის მთავარ-სარდლებს, და დეპუტაცია დანიშნა ხელმწიფე იმპერატორის მისაგებულად, როდესაც ჰეტერბურღს მობმანდება. გარდა ამისა დიდის თანაგრძნობით იკისრა, რომ ვისაც ჰსურს რაიმე შექსწიროს დაჭრილების, თუ ომშიდანოცილების ცოლმვილის სასარგებლოდ ჩვენი ქალაქის გამგეობა მზად არისო ის შესაწირავი

მიიღოს და შეავროვოს. შემდეგ ამისა ქალაქის გამგეობამ შესწირა ავრეთვე ერთი მილიონი მანეთი. ამ ფულს გამგეობა ეოველთვის ათათას თუმნობით შეიტანს, რადგანაც ამ ჟამად ამოდენა ნაღდი ფული არა აქვს.

სხვა რუსეთის ქალაქებშიაც დიდი თანაგრძნობა გამოუჩენიათ და დიდი ღვაწლი და შესაწირავი დაუდვიათ ომისგამო.

– რუსეთში მთავრობა დიდი ხანია აზირებს ახლანდელი სასულიერო-სამსჯავრო (ДУХОВНО-СУДЕБНАЯ) შეჭვალოს და უკეთეს წესზედ დააყენოს სხვათა შორის ცოლ-ქმრობის დარღვევის საქმე სასულიერო კონსისტორიები არ უნდა ექვემდებარებოდესო. განხრახული ცვლილება საერთოდ ჯერ კარგა ხანს ვერ დაბოლოვდებაო, ამიტომ ჯერ-ჯერობით გადაუწვევით რომ, ცოლ-ქმრობის გაურის საქმე ცალკე კომისიას მიენდოს, რათა მალე მომზადდესო.

– ქ. ხარკოვში ამასწინედ ერთი უმსგავსი საქმე მომხდარა დამთელი ქალაქი თურმეამა შელანარაკობს: ერთი აზნაურმვილს რადაც დანაშაული მოუხდენია და ამის გამოისობით დატუსაღებული ეოფილა თავის სახლში. ამ საქმის გამოძიება ჰროკურორის თანამემწეხათვის უფ. ზავადოვსკისათვის მიუხდვიათ. ერთხელ უფ. ზავადოვსკის ბრძანება გაუცია თურმე, რომ უფრო სასტიკი თვალეური დაიჭირონ და ხსმნებული აზნაურმვილი შინიდგან არსად გაუშვან. აზნაურმვილს მალიან გაჰკვირებია თურმე ეს განკარგულება, რადგანაც ამისთვის მას არა ვითარი მიზეზი არ მიუცია. შემდეგ უზონია ბრათი ზავადოვსკის ხელით დაწერილი ჰროკურორის ბლანკზედ. ამ ბრათში წერებულა: ბრძანება ლიდია ვლადიმირის ასულს ლ-სადმი (ეს ქალი იმ აზნაურმვილის ცოლი ეოფილა). გთხოვთ ესლავე მობრძანდეთ ჰროკურორის თანამემწე უფ. ზავადოვსკისთან და ამაღამ მასთან ერთად ტრფიალების საწოლი იგემოთ. გაზეთი „Наш Бѣкъ“ მკითხველთ არწმუნებს, რომ ეს სიტყვებო სწორედ ზავადოვსკის ბრათის სიტყვებიაო. აზნაურმვილსა სამსჯავრო ჰალატაში მაგაზედ სახივარი შეუტანია.



## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის გუბერნიის თავად-ახნაურთა საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ უძალესად დამტკიცებულის ბანკის წესდებულების ძალითა 25 მაისს 1877 წელსა დღისით, 12 საათზედ ტფილისში, თვით ბანკის სადგურში გაიყიდება უზემრეტორჟკოდ ქვემოხსენებულთა ჰირთა უძრავი ქონება იმის გამო, რომ ამ ჰირთ არ შეუტანიათ ბანკში აღებულის სესხის მხედვრი შესატანი, დადგინებული წესდების 29,30,34 და 35 პარაგრაფებითა.

სახელი და გვარი მათი ვისიც უძრავი ქონება იყიდება.	ადგილი საცა ქონება იმყოფება..	რა გვარი უძრავი ქონებაა.	აღებულის სესხის თავნი.		აღებულის სესხის თავნი ყოველჯერის შემოსატანითურთ	
			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.
1 შეშიაკინი, ალექსი ივანისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 3 ნაწილში ორბელიანთ ქუჩაზე №271.	ერთ სართულიანი (ეტიჟიანი) ქვითკირის სახლი. მის ქვეშ ადგილი 235 ოთხ-კუთხე საყენი...	1,743	53	1915	52
2 ტერ-მიკიტინიანცე, ქრისტეფორე ნიკიტის ძე.	ტფილისში II განყოფილებაში, 12 ნაწილში ნიკოლაევსკის ქუჩაზე.	სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეოველ-გვარის შენობითა, მის ქვეშ ადგილი 634 <sup>1</sup> / <sub>2</sub> ოთხ-კუთხე საყენი . . . . .	79,427	7	83,833	52
3 სულხანაფისა, მარიამ ივანეს ასული.	ტფილისში I და II განყოფილებაში, 7 და 14 ნაწილში.	თორმეტი ერთ სართულიანი, ორი ორ სართულიანი და სამი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქნები . . . . .	17,582	73	17,944	86
4 ადამაშვილი გიორგი ქიტქისაძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ეკოს ადგილი 90 ოთხ-კუთხე საყენი და მასზედ მდგარი შენობანი. . . . .	270	—	330	40
5 სტეფანოვი გეორგი.	ტფილისში, II განყოფილებაში, 2 ნაწილში.	ცარიელი სასახლე ადგილი 300 ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	1200	—	1,349	44
6 ალექსევი ანტონ იაკობისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 37 <sup>1</sup> / <sub>2</sub> ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	600	—	670	44
7 ვარჯიევი, ივანე სტეფანისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 9 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მას ქვეშ ადგილი 52 ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	500	—	575	4
8 მამუკიანცნი, ბაგრატ და ალექსი გეორგიას ძენი.	ტფილისში, II განყოფილებაში, 13 ნაწილში.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 143 ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	1000	—	1087	40
9 განგებლოვისა, აგრინა ვასილის ასული.	ტფილისში, II განყოფილებაში, 14 ნაწილში.	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებითა და მის ქვეშ ადგილი 69 ოთხ-კუთხე საყენი. . .	800	—	914	76
10 კვსაძე, ივანე გიორგისძე და ზარბიევი გიორგი თამაზისძე.	ტფილისში, I განყოფილებაში, 1 ნაწილში.	სასახლე ადგილი 224 ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	300	—	357	72

			მანეთი.	კაპ.	მანეთი.	კაპ.	
11	კორდანიოვი, მერაბ ზაქარიასძე.	ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისავე მაზრაში სოფ. შავთა და ვანეთი.	252 დესიატინა და 600 ოთხ-კუთხე საყენი სახსნავი, სათიბი და ტყე . . . . .	3979	9	4188	39
12	ახაზი, მცირე წლოვანი ირაკლი ალექსანდრესძე.	ტფილისის გუბერნიაში და იმავე მაზრაში სოფ. თხინვალი.	175 დესეტინა, სახსნავი და სათიბი, სახლითა და ბაღითა. . .	5976	82	6086	35
13	გაბაევი, ანდრია მიხაილისძე	ტფილისის გუბერნიაში, იმავე მაზრაში სოფ. ერთვისი.	106 დესეტინა 320 ოთხ-კუთხე საყენი სათიბი და სახსნავი მიწები, სახლითა და ვენახითა. . .	4980	68	5260	44
14	ორბელიანი, თ. იოსებ კონსტანტინესძე.	ტფილისის გუბერნიაში, სიღნაღის მაზრაში, სოფ. კარდანახში.	ვენახი ორი დესიატინა და 90 ოთხ კუთხე საყენი. . . . .	2000	—	2098	—
15	რუსიევ-ეორონიძე, გიორგი გიორგისძე.	ტფილისის გუბერნიაში, ქ. თელავში	ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მის ქვეშ ადგილი 1425 ოთხ-კუთხე საყენი. . . . .	700	—	774	68

სწენებულები უძრავი მამულნი გაიყიდებიან მთლიანად, მხოლოდ თვითვეულებად ცალკე. სათავნო ვალს წედ მიეკეცება ბანკში ვადითი შესატანი ფული, უოველივე ხარჯი რაც ბანკს მოსვლია მამულის გასასყიდლად დანიშნისათვის და გარდა ამისა უოველივე სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადის ნაშთი (недоимка) და ეგრედ შემდგარის ჯამიდან დაიწება ტორგი, თანხმად წესდებულების 19 მუხლისა. ამასთანავე მმართველობა ბანკისა აცხადებს, რომ ვალის თავნი, თვითვეულს მამულს წედ ნახვენები, შეიძლება მოძორებულ იქმნას მსუიდევისაგან გირავნობის ფურცლითა (закладной листь), რომლის მანეთი მანეთად მიიღება და გარდა ამისა შეიძლება მსუიდევლმა, ბანკის თანხმობით. ეგ სათავნო ვალი თავის თავს წედ ვადილოს, მხოლოდ უსათუოდ კი უნდა მოძოროს ნაღდის ფულით ის, რაც სათავნო ვალს წედ მეტი შემოსატანი ფულია.

თუ ზირველი ტორგი, რომელიც 25 მაისს 1877 წ. დანიშნულია, ვერ მოხდა და მამული არ გაიყიდა, ამ შემთხვევისათვის მმართველობა ბანკისა თანხმად წესდებულების 22 მუხლისა, ნიშნავს მეორესა და უკანასკნელს ტორგსა 9-ს ივნისს ამ 1877 წლისას.

---

Дозволено цензкроу. Тифлис, 5 Мая 1877 г. Тирография Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ „ივერიის“ განმეორებითი გამოცემის პროექტისა და იდეის ავტორი, რედაქტორ-გამომცემელი **ნუგ ზარ ჭიანჭავაძე**

სარედაქციო № 3030: **ნელი დარბაიძე, ნინო კერატიშვილი, ნინო შავაძე, ნინო გლუნჩაძე, ლალი გოჩიტაშვილი, თამუნა დვალი, მერაბ დვალი, აკაკი იობაშვილი. მხატვარი, ბუბა არაბული, დიზაინერი ლაშა ჩხენკელი**

**პროექტი: ივანია – წარსული დაწინააღმართის – მომავლის განსაზღვრა**

პროექტის მხარდამჭერი საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**გაზეთი „ივერია“ აღდგენილია, – განმეორებითი გამოცემა დაწყებულია 2011 წლის 2 აგვისტოს**

**მომავალი უს „საგაომავლო სახლი ქართული ელიტა“** საიდენტიფიკაციო №404852174

მისამართი: გ. ლეონიძის 11ა; ტელ.: (+995 32) 299 76 53; [chiaberashvili@gmail.com](mailto:chiaberashvili@gmail.com)